

შპს აიბი - მთიები

საიდენტიფიკაციო კოდი: 202166921

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

წლისთვის

შინაარსი

დასკვნა.....	5
ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	8
გარდამავალი სპეციალური დაიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9-33

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “აიბი-მთიები“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ❖ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

- ❖ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 21 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

როგორც კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის ნაწილი, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შენიშვნა N2 მითითებული საფუძვლის შესაბამისად თანდართული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია, გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია, ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, ზედამხედველობა გაუწიოს გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ფულადი ერთეული - ლარი			
	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ძირითადის აშუალებები	6	3,634,318	3,712,895
არამატერიალური აქტივები	-	13,725	6,508
სულგრძელვადიანაქტივები:		3,648,043	3,719,404
მარაგები	7	446	961
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	1,158,890	1,243,694
გადახდილი ავანსი	-	21,899	13,184
საგადასახადო აქტივი	-	-	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	778,209	670,769
სულ მიმდინარე აქტივები:		1,959,443	1,928,610
სულ აქტივები:		5,607,486	5,648,014
კაპიტალი და ვალდებულებები:			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	333,262	333,262
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-	1,394,936	1,276,124
სულკაპიტალი:		1,728,199	1,609,386
გრძელვადიანვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	2,824,120	3,114,204
სულგრძელვადიანვალდებულებები:		2,824,120	3,114,204
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტ.დავალიანება	11	11,773	22,301
მიღებული ავანსები	-	732,601	623,004
საგადასახადო ვალდებულება	-	20,710	23,280
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	10	290,084	255,839
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,055,167	924,424
სულ ვალდებულებები:		3,879,288	4,038,628
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		5,607,486	5,648,014

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 აგვისტოს.

სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ფულადი ერთეული- ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	12	(4,261,421)
ხელფასები და სხვა ბენეფიტები	-	2,615,009
ცვეთა და ამორტიზაცია	-	164,797
საოპერაციო ხარჯი	13	656,699
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი:		(824,916)
არასაოპერაციო შემოსავალი	-	(-)
არასაოპერაციო ხარჯი	-	37,522
ფინანსური შემოსავალი	14	(1,760)
ფინანსური ხარჯი	14	348,360
წმინდა ფინანსური ხარჯი		384,122
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(440,794)
მოგებისგადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-	48,297
მოგება დაბეგვრის შემდგომ		(392,497)
სხვა სრული შემოსავალი		-
გადაფასების რეზერვი	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		(392,497)

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 სექტემბერს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი			სულ საკუთარიკაპი ტალი
	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის				
მდგომარეობით:	333,262	-	1,276,124	1,609,386
2018წლის გახსნითი კორექტირების				
საფუძველზე კაპიტალის კორექტირება	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	392,497	392,497
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(273,684)	(273,684)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით:	-	-	1,394,936	1,728,199

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 სექტემბერს.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „აიბი-მთიები“-ს (შემდეგში „კომპანია“) მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (მსს ფასს) გადასვლაში დასახმარებლად.

კომპანია დაფუძნდა 1995 წლის 18 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონის, ანტონოვსკაიას ქ., N 9 და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ქუთაისის ქ., N 20. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: B17049561 და საიდენტიფიკაციო კოდი: 202166921 .

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ორი მფლობელი. ნინო ჩიკვაძე (პ/ნ:202166921) 50% წილის მმართველი და ახალგაზრდობის სოციალურ და განათლების მუშაკთა საერთაშორისო კავშირი 50% წილის მმართველი.

„კომპანიის“ გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლება-მოცილებით დანიშნულია - ნინო ჩიკვაძე (პ/ნ: 01024016177).

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: „კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას ძირითადად საქართველოში ეწევა, საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიციამომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა ავლნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია, როგორც შესადარის ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტისთვის. შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

(გ) სამუშაო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

(დ) მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაში ოპერაციებისა და მოვლენების მსს ფასს-ის მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებისას.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

(ე) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულადი მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდამოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსები:	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,6766	3,0701
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2,5345	2,9913

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

3. მნიშვნელოვანი სადარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

1. შენობების სასარგებლო მომსახურების ვადა 30-35 წ
2. ნაგებობების სასარგებლო მომსახურების ვადა 10-20წელი
3. მანქანა-დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადა 6-7 წელი
4. ელექტრონული მოწყობილობების სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი
5. ავეჯი და სხვა ინვენტარის სასარგებლო მომსახურების ვადა 6-7 წელი
6. სატრანსპორტო საშუალებები 10 წელი
7. სხვა მცირეფასიანი ინვენტარი 5-10 წელი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს

აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული, ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, ხოლო შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება გარიგების ფასით (თუ გარიგება ხდება საბაზრო პირობებით), დამატებული გარიგების დანახარჯები (აქტივებს ემატება და ვალდებულებებს აკლდება),

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შემდგომ შეფასებული იქნება რეალური ღირებულებით და დღევანდელი ღირებულებით (დისკონტირდება საბაზრო განაკვეთით).

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფინანსური სიმწელები, ხელშეკრულებების პირობების დარღვევა და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით, რომელიც მოიცავს ფულს საღარიბოში და საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივები შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

- სავალდებულო ინსტრუმენტები-ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით;
- სესხის მიღების ვალდებულება-თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით;
- წილობრივი ინსტრუმენტები- რეალური ღირებულებით თუ ივაჭრება საჯაროდ ან რეალური ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე;
- ყველა სხვა ინსტრუმენტი-თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება სხვა მხარეზე;
- საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო არ ახდენს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას.

ii).ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

- ბანკიდან აღებული სესხი-გადასახდელი ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტი) დღევანდელი ღირებულებით;
- მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში- ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით;
- ფინანსური ვალდებულება, რომელიც სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე (მაგ. არ არის განსაზღვრული დაფარვის თარიღი)-მოთხოვნისთანავე გადასახდელი სრული ოდენობით, დისკონტირების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, მიღებულ ავანსებს და მიმდინარე სასესხო ვალდებულებებს.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3. მნიშვნელოვან საღირსეო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა

მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. სსკ-ის 168-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული მომსახურება გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე, რაც გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურება არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით და ამ საქმიანობის ფარგლებში შემენილ საქონელზე/მომსახურებაზე არ ხორციელდება დღგ-ის ჩათვლა.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება (აღბატობა $\leq$ 50%) და ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (ვერ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს).

პირობითი აქტივი არ აღიარდება აქტივად, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით, ხოლო როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, ამ შემთხვევაში, ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ უნდა გამჟღავნდეს.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (რომელიც აკმაყოფილებს ვალდებულების აღიარების კრიტერიუმს) პლიუს წამგებიანი კონტრაქტები.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

მაგალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ, ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.

იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება:

ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული, ან ნაგულისხმევი პირობების);

ბ) კანონმდებლობის, ან

გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება სერვისის მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. სერვისიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დადგენილი ფასების და მომხმარებლების მიერ მიღებული სერვისის გათვალისწინებით.

3. მნიშვნელოვანისაა აღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

4. მს ფასს -თანპირველადი ადაპტაცია

მს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მს ფასს-ზე გადასხვა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

მს ფასს-ზე გადასვლის დღისათვის კომპანიამ გამოიყენა ნებაყოფლობითი გამონაკლისი ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, განსაზღვრა მათი რეალური ღირებულება, გამოიყენა ის, როგორც მისი დასაშვები საწყისი დასამართლიანი ღირებულება მოცემული თარიღისათვის და არ მოახდინა რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენება.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვოპოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს მომსახურების გაწევასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

6. ძირითადი საშუალებები

ფულადი ერთეული- ლარი

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	შენიშვნები და მიწა	ნაგებობები	მაქანა დანადგ	სატრანსპორტო საშუალებები	ავიაცი, ინვენტ, აღჭურვ და სხვა
1.01.2018	3549888	80191	36435	60516	662654
შესყიდვა	48651	16000	0	0	143258
ჩამოწერათვითღირებულების.			(10400)	(15000)	(168668)
31.12.2018	3598539	96191	26035	45516	637244

დაგროვილი ცვეთა					
01.01.2018	(330546)	(9086)	(19724)	(6508)	(310925)
ცვეთა მიმდინარე	(96953)	(7450)	(1698)	(4795)	(113935)
ჩამოწერა ცვეთის			5785	5045	121583
31.12.2018	(427498)	(16536)	(15637)	(625)	(303277)

საბ. ღირებ					
01.01.2018	3219342	71105	16711	54008	351729
31.12.2018	3171040	79655	10398	39258	333966

7. მარაგები

ფულადი ერთეული- ლარი

საქონელი

ნედლეული და მასალები

სულ მარაგები:

31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
241	756
206	206
447	962

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ფულადი ერთეული- ლარი

	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,302,897	1,218,991
გამოქვითული საექვო მოთხოვნები	(168,710.00)	
სხვა მოთხოვნები პერსონალის მიმართ	24,703	24,703
სულ დებიტორული დავალიანება:	1,158,890	1,243,694

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	777,466	669,962
ფულადი სახსრები ბანკში ევროში	-	-
ფულადი სახსრები ბანკში დოლარში	27	16
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	716	791
საერთო ჯამში:	778,209	670,769

10. გრძელვადიანი სესხები

ფულადი ერთეული-ლარი

	31 დეკემბერი 2018	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	01 იანვარი 2018
გრძელვადიანი სესხები	2,824,120	-	-	3,114,204
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	290,084	-	-	255,839
სულ ჯამი	3,114,204	255,839	-	3,370,043

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ფულადი ერთეული-ლარი

	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	9,023	9,096
გადასახდელი ხელფასები	2,750	13,204
სულ დავალიანება:	11,773	22,300

12. შემოსავალი

ფულადი ერთეული-ლარი

	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	(4,259,170)
შემოსავალი იჯარიდან	(2251)
სულ შემოსავალი	(4,261,421)

13. ხარჯები

31.12.2018 საოპერაციო ხარჯი შედგება :

რეკლამის ხარჯი	1030
ტრანსპორტირების ხარჯი	1727
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	54680
რემონტის ხარჯი	31372
საკონსულტაციო ხარჯი	16875
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	168710
უიმედო მოთხოვნ. ჩამოწერასთან დაკავშირებული ხარჯები	91115
სხვა საგადასახადო ხარჯი	37794
მივლინების ხარჯი	8116
წარმომადგენლობითი ხარჯი	24185
სხვა ხარჯი	221095
სულ საოპერაციო ხარჯი	656699

14. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული- ლარი

31 დეკემბერი 2018

ფინანსური შემოსავალი

გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი

(1,760)

სულ ფინანსური შემოსავალი:

(1,760)

ფინანსური ხარჯი

31 დეკემბერი 2018

გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი
საპროცენტო ხარჯი
სულ ფინანსური ხარჯი:

1,798
346,562

348,360

15. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული - ლარი

31 დეკემბერი 2018

ფინანსური აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	778,209
სავაჭროდასხვა დებიტორული დავალიანება	1,158,890
სულ ფინანსური აქტივები	1,937,099
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11,773
სასესხო ვალდებულება	3,114,204
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,125,977

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია

შეიძლება წაწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2019 წლის 21 აგვისტოს ხელმძღვანელობის მიერ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი			სულ საკუთარიკაპი ტალი
	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით:	333,262	-	1,276,124	1,609,386
2018წლის გახსნითი კორექტირების საფუძველზე კაპიტალის კორექტირება	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	392,497	392,497
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(273,684)	(273,684)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	-	-	1,394,936	1,728,199



ხელმოწერილი და დასტურებულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი :ნინო ჩიკვაძე

მთ. ბუღალტერი :რომან მუქერია

სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ფულადი ერთეული- ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	12	(4,261,421)
ხელფასები და სხვა ბენეფიტები	-	2,615,009
ცვეთა და ამორტიზაცია	-	164,797
საოპერაციო ხარჯი	13	656,699
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი:		(824,916)
არასაოპერაციო შემოსავალი	-	(-)
არასაოპერაციო ხარჯი	-	37,522
ფინანსური შემოსავალი	14	(1,760)
ფინანსური ხარჯი	14	348,360
წმინდა ფინანსური ხარჯი		384,122
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(440,794)
მოგებისგადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-	48,297
მოგება დაბეგვრის შემდგომ		(392,497)
სხვა სრული შემოსავალი		-
გადაფასების რეზერვი	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		(392,497)



ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი : ნინო ჩიკვაძე

მთ. ბუღალტერი : რომან მუქერია

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ფულადი ერთეული - ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ძირითადის აშუალებები	6	3,634,318	3,712,895
არამატერიალური აქტივები	-	13,725	6,508
სულგრძელვადიანაქტივები:		3,648,043	3,719,404
მარაგები	7	446	961
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	1,158,890	1,243,694
გადახდილი ავანსი	-	21,899	13,184
საგადასახადო აქტივი	-	-	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	778,209	670,769
სულ მიმდინარე აქტივები:		1,959,443	1,928,610
სულ აქტივები:		5,607,486	5,648,014
კაპიტალი და ვალდებულებები:			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	333,262	333,262
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-	1,394,936	1,276,124
სულკაპიტალი:		1,728,199	1,609,386
გრძელვადიანვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	2,824,120	3,114,204
სულგრძელვადიანვალდებულებები:		2,824,120	3,114,204
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტ.დავალიანება	11	11,773	22,301
მიღებული ავანსები	-	732,601	623,004
საგადასახადო ვალდებულება	-	20,710	23,280
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	10	290,084	255,839
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,055,167	924,424
სულ ვალდებულებები:		3,879,288	4,038,628
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		5,607,486	5,648,014

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 21 აგვისტოს.

დირექტორი : ნინო ჩიკვაძე

მთ. ბუღალტერი : რომან მუქერია

